საჯაროსამართლის იურიდიულიპირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

16 თებერვალი 2015 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/8

„რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია“, „ორთოპედიული სტომატოლოგია“) მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილებით დამტკიცებული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)პროგრამებისგანხორციელებისწესის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/11273, 11.02.2014წ.) წერილის, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 07 ივნისის №01-08/21 ბრძანებისა დასარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის ვ. ჩანტლაძის 2015 წლის13 თებერვლის№511მოხსენებითი ბარათისსაფუძველზე,

ვბრძანებ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიულიდიპლომისშემდგომი განათლების(პროფესიულ მზადების) პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია“,„ორთოპედიულისტომატოლოგია“), მიღების მიზნით გამოცხადდეს მისაღები კონკურსი.
2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2015 წლის 16 თებერვლიდან27თებერვლისჩათლით, 10სთ–დან 17სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა.

3. პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში„ თერაპიული სტომატოლოგია“(კვოტა - 12).„ორთოპედიული სტომატოლოგია“(კვოტა - 8)

4. თუკი, სარეზიდენტო პროგრამის მაძიებელთა ოდენობა აღემატება კვოტით დადგენილ ოდენობას:
   ა) უპირატესობა მიენიჭოს რეზიდენტურის ალტერნატიული პროგრამის მაძიებლებს; ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

   ბ)დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე კონკურსის შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანებაშეიძლებაგასაჩივრდესმოქმედიკანონმდებლობითდადგენილიწესითსაქართველ ოსგანათლებისადამეცნიერებისსამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრიუზნაძისქ. #52).

9. ბრძანებაამოქმედდესხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე ირაკლი ბარამიძე